ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №942204

ნომერი: AR1166846

თარიღი : 04.10.2013

გაცემის თარიღი : 11.10.2013

გაცნობის თარიღი : 12.10.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, (ნაკვეთი N1/97) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ მოსაშვილი პ/ნ 01005002608
- თბილისი კ.მარჯანიშვილის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ივლისის 08/27/2013 წ. 869023 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 10/04/2013 წ. AR1166846 განცხადებით მომართა სს ”იბერია უძრავი ქონება”–ს დირექტორმა რამაზ მოსაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 08/27/2013 წ. 869023 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საზაფხულო ფართობისა (აივნების) და ტერასის ფართობის გამოჯვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, (ნაკვ#1/97) ს.ს ,,იბერია უძრავი ქონება"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული გრგ–ს საფუძველზე №782994 ბრძანებით შეთანხმდა მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სახლი#16) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი დ და გაიცა მშენებლობის ნებართვა.08/27/2013 წ. 869023 ბრძანებით შევიდა ცვლილება ზემოაღნიშნულ აქტში და საზაფხული ფართი მიეთითა – 533.17.განმცხადელი ითხოვს აღნიშნულ ფართობში შემავალი ფართების გამოჯვნას, კერძოდ: საზაფხულო ფართობად (აივნების ფართობი) 466.49დაფიქსირებას, ხოლო ტერასების ფართობად 66.68კვ.მ მითითებას.

სამსახურმა შეთანხმებული არქიტექტურულ პროექტის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ აივნებისა და ტერასების ფართობების ჯამი უდრის სამსახურის ბრძანებაში მითითებულ საზაფხულო ფართობის ციფრობრივ მაჩვენებელს. ამასთან, გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის, 08/27/2013 წ. 869023 კერძოდ: საზაფხულო ფართობად (აივნების ფართობი) მიეთითოს 466.49 , ხოლო ტერასების ფართობად მიეთითოს – 66.68 (კვ.მ):
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 08/27/2013 წ. 869023 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.